პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 112 (3089) 12 ივნისი 1966 წ. ორშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

დღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებია

ყველანი არჩევნებზე!

სარბიელზე გამოდიან ტექნიკუმელები

დღეს თბილისში კიდევ ერთი სპარტაკიადა იწყება. კომპლექსური ასპარეზობის მონაწილენი ამჯერად რესპუბლიკის ტექნიკუმების მოსწავლენი არიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ „სპარტაკის" რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად I ასეთი სპარტაკიადა 1965 წელს ჩაატარა. ახლა იგი რიგით მეორეა და სპორტის 8 სახეობას მოიცავს. ტექნიკუმელები იასპარეზებენ კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში, სპორტულ ტანვარჯიშში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში და ძალოსნობაში. წლევანდელი სპარტაკიადა ეძღვნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

შეჯიბრების სტარტზე გამოვა 16 ტექნიკუმის ათასამდე სპორტსმენი. ფრენბურთში პირველობისთვის იბრძოლებს ვაჟთა 15 და ქალთა 8 გუნდი, კალათბურთში — შესაბამისად 12 და 8, მძლეოსნობაში — 11, ველოსპორტში — 10, ცურვაში — 7, სპორტულ ტანვარჯიშში — 6, ქართულ ჭიდაობაში — 12, ძალოსნობაში — 9.

მაღალკვალიფიციური სპორტსმენებით (ძირითადად, ოსტატებითა და პირველთანრიგოსნებით) წარმოდგებიან თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი (დირექტორი მ. ჯიბუტი, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ფ. ყარალაშვილი) და პოლიტექნიკური ტექნიკუმი (დირექტორი ნ. გიორგობიანი, ფიზაღზრდის ხელმძღვანელი კ. ლლონტი). უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობისთვის ბრძოლა უმთავრესად სწორედ ამ სასწავლებელთა შორის გაიმართება.

ტექნიკუმების მიერ განვლილ სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შეჯამების გარდა, სპარტაკიადა მიზნად ისახავს რესპუბლიკურ საუწყებათაშორისო სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად უძლიერესი გუნდების გამოვლენას და, აგრეთვე, „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს საკავშირო შეჯიბრებაში სასპარეზოდ ნაკრები გუნდების დაკომპლექტებას.

ვ. ხომერიკი,
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უფროსი ინსპექტორ-მეთოდისტი.

ფინიშის ციებ-ცხელება

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XXIII ჩემპიონატი

უაღრესად დაიმუხტა ბრძოლა ჩემპიონის სახელისთვის, როცა XIV ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას ა. ჩაიკოვსკაიამ ოთხივე პარტია მოიგო (ც. კობაიძესთან, ქ. გოგიავასთან, ლ. ნაჭყებიასთან და დ. სვანაძესთან). და აი, ჩაიკოვსკაია გაუთანაბრდა კახაბრიშვილს — 12,5-12,5 ქულა.

XV ტურში ა. ჩაიკოვსკაიამ დაამარცხა ა. ბაძაღუა, ხოლო ც. კახაბრიშვილმა ვერ გატეხა მ. ჩომახიძის წინააღმდეგობა და ყაიმს დასჯერდა. XVI ტურში ც. კახაბრიშვილმა მოუგო ნ. გიორგაძეს და ჩემპიონატი 14 ქულით დაამთავრა (XVII ტურში იგი თავისუფალი იყო).

XVI ტურში ა. ჩაიკოვსკაიას დასვენების დღე ჰქონდა, ხოლო შეჯიბრების თასვენით, XVII ტურში იგი შეხვდა თბილისის ჩემპიონს ნ. ჩიქობავას. საერთაშორისო ოსტატს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, ვინაიდან 14,5 ქულით ჩემპიონის სახელს ინაღდებდა.

და აი, გუშინ, XVII ტურში ა. ჩაიკოვსკაია — ნ. ჩიქობავას პარტიამ ყველა დააინტერესა თავისი შემართებით. თბილისის ჩემპიონი დიდხანს ინარჩუნებდა უპირატესობას, მაგრამ ცაიტნოტში „აურია". პარტია გადაიდო. ა. ჩაიკოვსკაიას უკეთესი შანსები აქვს.

დღეს დილით, 10 საათზე, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგება ამ პარტიის დამთავრება. გათამაშდება აგრეთვე კობაიძე — ხუგაშვილის გამოტოვებული პარტია. 15 საათზე კი გაიმართება ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

აი, დანარჩენი შეხვედრების შედეგები — XV ტური: ჩიქობავა — სვანაძე 1:0, ლოლიშვილი — ნაჭყებია 0,5:0,5, მანველოვა — გოგიავა 1:0, ხუბულური — კობაიძე 0:1, ჩხიკვაძე — შენგელია 0,5:0,5, ხუგაშვილი — ივანოვა 0,5:0,5; XVI ტური: ბაძაღუა — ჩიქობავა 0:1, სვანაძე — ლოლიშვილი 1:0, ნაჭყებია — მანველოვა 1:0, გოგიავა — ხუბულური 0:1, კობაიძე — ჩხიკვაძე 1:0, შენგელია — ხუგაშვილი 0:1, ივანოვა — ჩომახიძე 1:0; XVII ტური: ბაძაღუა — ლოლიშვილი 0:1, სვანაძე — მანველოვა 0:1, ნაჭყებია — ხუბულური 0,5:0,5, გოგიავა — ჩხიკვაძე 0,5:0,5, შენგელია — ჩომახიძე 0:1, ივანოვა — გიორგაძე 1:0.

თ. ნინოშვილი.

გუშინ...

ჭადრაკი

სოხუმი, 11 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აფხაზეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული საერთაშორისო მატჩი, დღეს კი ფილარმონიის დარბაზში შედგა I ტური.

წარმატებით აიღეს სტარტი ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა: მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა კარგ სტილში მოუგო ოსტატ ლ. იოჩიჩს, ხოლო ტ. ზატულოვსკაიამ — იუგოსლაველთა ერთ-ერთ ლიდერს კ. იოვანოვიჩს.

დაძაბულად მიმდინარეობდა ვ. კორჩნოისა და ბ. ივკოვის შეხვედრა. საბჭოთა დიდოსტატმა საგულისხმო გამარჯვება მოიპოვა. გულკომ მოუგო დესპოტოვიჩს.

პ. კერეს — ა. მატანოვიჩის, ე. გელერ — ბ. ჩირიჩის, რ. ხოლმოვ — ვ. ველიმიროვიჩისა და ე. ვასიუკოვ — ბ. პარმას პარტიებში, მართალია, შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ ყველა ეს შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

არ დამთავრებულა მხოლოდ ა. მატულოვიჩ — ი. სახაროვისა და ა. ცვეტკოვიჩ — გ. კუზმინის შეხვედრები.

ამრიგად, I ტურის შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა გუნდი — 6:2.

კალათბურთი

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელ ვაჟებთან: თბილისის ნაკრები შეხვდა ბრატისლავის „სლავია". ამჯერადაც გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 58:56 (22:26).

ზამთრის ოლიმპიადის პროგრამაში... ქალთა კალათბურთი

ტუნისი, 11 ივნისი. იაპონიის ქალაქ საპოროს 1972 წლის ზამთრის ოლიმპიადის პროგრამა შესაძლოა გამდიდრდეს... კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებით. ყოველ შემთხვევაში, ასეთი თხოვნით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მუდმივი კონფერენციის წარმომადგენლების — კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრების აქ დამთავრებულმა XI სესიამ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ 26 ქვეყნის, მათ შორის, სსრ კავშირის (კალათბურთის საკავშირო ფედერაციის წარმომადგენელი ნ. სემაშკო) დელეგატები. გადაწყდა, რომ ევროპის კალათბურთელ ქალთა IX ჩემპიონატი გაიმართება 1968 წელს, იტალიაში. მანამდე სპორტსმენი ქალები მოასწრებენ კონტინენტის უძლიერესი გუნდების სახელისთვის ბრძოლას — ტურნირი ჩატარდება ა. წ. 1-10 ოქტომბერს, რუმინეთში. კენჭისყრის შედეგად სსრ კავშირის ქალთა ნაკრები მოხვდა „ა" ჯგუფში, სადაც, აგრეთვე, შევიდნენ პოლონეთის, რუმინეთის, ჰოლანდიის, უნგრეთისა და იტალიის ეროვნული გუნდები. „ბ" ჯგუფი შეადგინეს ბულგარეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საფრანგეთისა და გფრ-ის წარმომადგენლებმა.

სან-ჯორჯიოში (იტალია) 23-28 აგვისტოს გაიმართება ევროპის ჭაბუკ კალათბურთელთა ჩემპიონატი. საბჭოთა გუნდი ბულგარელებთან, ჩეხოსლოვაკიელებთან და ესპანელებთან ერთ ჯგუფში მოხვდა.

ისღა დარჩა მიულოცოს...

ჯიმ რაიანის ბრწყინვალე მიღწევა

ტერა-ჰოტი (ინდიანის შტატი, აშშ), 11 ივნისი. ერთ-ერთი ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტმა, 19 წლის ჯიმ რაიანმა 880 იარდი გაირბინა 1 წუთსა და 44,9 წამში. ამრიგად, შეერთებული შტატების მძლეოსანთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში დაიბადა მსოფლიოს ახალი რეკორდი.

ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონიდან ახალ რეკორდსმენს ტელეფონით დაურეკა ამ დისტანციაზე ყოფილმა რეკორდსმენმა, სახელგანთქმულმა სტაიერმა, ტოკიოს ოლიმპიადის ოქროს 2 მედლის მფლობელმა პიტერ სნელმა (რაიანმა სნელის მიერ 1962 წელს დამყარებული მიღწევა გააუმჯობესა 0,2 წამით). ახალზელანდიელმა გულთბილად მიულოცა რაიანს რეკორდის დამყარება.

თვით სნელი უკვე გამოეთხოვა მძლეოსნობას და მას ახლა ისღა დარჩენია გამარჯვებები მიულოცოს სარბენი ბილიკების გმირებს, რომლებიც მისსავე რეკორდებს უტევენ...

უკანასკნელი საათი...

◆ **მოსკოვი, 11 ივნისი.** დღეს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ჭადრაკში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ტ. პეტროსიანისა და ამ უმაღლესი წოდების ამასწინანდელი მაძიებლის ბ. სპასკის პრეს-კონფერენციამ. საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტებმა ბევრი შეკითხვით მიმართეს თანამედროვეობის ამ ორ საუკეთესო დიდოსტატს. ტ. პეტროსიანმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ოქტომბერში იგი დიდი სიამოვნებით გაემგზავრება გენიალური ხ. კაპაბლანკას სამშობლოში — კუბაში, სადაც მონაწილეობას მიიღებს XVII საჭადრაკო ოლიმპიადაში.

◆ **ლონდონი,** 11 ივნისი. „მშვიდობის XIX ველორბოლის" ფავორიტმა — საბჭოთა კავშირის გუნდმა აქ ახალი გამარჯვება მოიპოვა: უველას აჯობა ბრიტანეთის 15-დღიან ტრადიციულ ველორბოლაში. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ველოსიპედისტები პირველად გამოვიდნენ ამ შეჯიბრებაში, რომლის ტრასა 2 ათას კილომეტრს აღემატებოდა. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო პოლონელი ი. გავლიჩეკი. უნდა ითქვას, რომ ბოლოსწინა ეტაპის ფინიშთან პირველი მიიჭრა ახალგაზრდა ტაშკენტელი მრბოლელი ი. პომინოვი.

ყველაზე სტაბილური გუნდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შენიშვნები სსრ კავშირის ხელბურთელთა ახლახან დამთავრებული ჩემპიონატის ირგვლივ

„გრძოლა“ მდინარის პირას

„კოლმეურნის“ სამტრედიის რაიონში ინიციატივით სობის რაიონის სოფელ ხორგაში ახლახან ჩატარდა პირადი პირველობა სპორტულ თევზჭერაში. შეჯიბრება ერთკვიანი ანკესით (თევთეულ მონაწილეზე — ორი ანკესი) გაიმართა. ასპარეზობაში მონაწილეობდა თევზჭერის 14 მოყვარული.

სამსაათიანი „ბრძოლის“ შედეგად 15 თევზი (სულ 1,4 კგ) დაიჭირა და I ადგილი დაიკავა ჯ. ვაშაკიძემ. II ადგილზეა ლ. ახობაძე (11 თევზი, 0,9 კგ), ხოლო III — ა. ესებუა (9 თევზი, 0,7 კგ).

ამ საინტერესო ღონისძიებამ თევზჭერის მოყვარულთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

ჯ. ვაშალომიძე.

სამტრედია.

ნაკლოვანებანი

აბაშა

სუჯუნის საშუალო სკოლაში სათანადო ყურადღება ეჭცევა ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. აქ ხშირად ეწყობა შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სკოლის ეზოში მოსწავლეთა ძალებით მოწყობილია ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. ახლა ახალგაზრდა სპორტსმენებმა გადაწყვიტეს ფეხბურთის მინდვრის გაკეთებაც.

ი. თოფურია.

„ბურევესტნიკი“ ბაკურიანში

✦ აბაშა

ბაკურიანში ბურევესტნიკის ბაზა ეწყობა ორ ადგილზე — ბაკურიანსა და ბაზაურეთში. ბაზა ბაკურიანში ეწყობა ბ. ბ. ბ.

ვინ არის სპორტსმენი?

მოგვითხრობს იური ვლასოვი

არ ვიცი, რამდენად მოვახერხებ გადმოგცეთ იური ვლასოვთან, მსოფლიო რეკორდსმენთან და სპორტის დამსახურებულ ოსტატთან საუბარი, მაგრამ ამთავითვე გეტყვით, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი, მშვიდი ლაპარაკი. მისი ნათქვამიდან ბევრი რამ, თუ შეიძლება ითქვას, თავდაყირა აყენებს ჩვენს თითქოს ერთხელ და სამუდამოდ შესისხლხორცებულ წარმოდგენებსა და აზრებს. ამიტომ ძალაუნებურად გიჩნდება შეპაპეურებისა და კამათის სურვილი... მაგრამ ვლასოვი ამბობს იმას, რასაც, ალბათ, წლების მანძილზე ფიქრობდა. არც ერთი მისი სიტყვა სახელდახელო და სხვათა შორის ნათქვამი არ არის.

თუმცა, ჯობს თანდათანობით მივყვეთ. ჩვენს საუბარში, პირველ ყოვლისა, წამოიჭრა საკმაოდ ძველი, ზოგადი, ცოტა არ იყოს, გაცვეთილი კითხვა:

● თქვენი აზრით, როგორ უნდა ეზიარო სპორტს?

რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე ელი ასეთსავე შაბლონურ პასუხს, ფიქრობ, რომ ახლა ვლასოვი დაგიწყებს ლაპარაკს იმის თაობაზე, თუ როგორ დღითიდღე ფართოვდება ჩვენს ქვეყანაში სპორტულ დაწესებულებათა ქსელი, რომ ფიზკულტურა მილიონთა დგიძლი საქმეა, რომ ადამიანში ყველაფერი თანაბრად მშვენიერი უნდა იყოს... ყოველივე ამის შემდეგ კი მსოფლიო რეკორდსმენმა უკვე შეიძლება პირადი აზრიც გამოთქვას, საკუთარი დაკვირვებები გაგიზიაროს.

მაგრამ ი. ვლასოვმა აი, რა გვიპასუხა:

— არ მესმის, რატომ არ უნდა ვაღიარო, რომ ზოგისთვის სპორტი სულაც არ არის ცხოვრების სასიამოვნო და სასარგებლო მხარე. ზოგიერთისთვის კი იგი თავად ცხოვრებაა. მე ვლაპარაკობ „დიდ სპორტზე". ბრძოლა მსოფლიო პირველობებსა და სხვა დიდ საერთაშორისო ასპარეზობებში იმდენად დაძაბულია, შედეგები იმდენად მაღალია, ხოლო მართლაც რამოდენ ღირებული ოსტატობა ისეთი ჯოჯოხეთური შრომით მოიპოვება, რომ ნათელია: სპორტი, ასეთი სპორტი, მთელ ცხოვრებას მოითხოვს. წლები დამქანცველი, — ნუ უფრთხით ამ სიტყვას, იგი ზუსტია, — წვრთნისა, ყოველწუთიერი შერკინებისა საკუთარ თავთან, შეუპოვარი ბრძოლისა შენივე სისუსტის, შენივე ნაკლოვანებების, შენივე სხეულის, კუნთების, მთელი სხეულის დასაძლევად, — აი, რა არის სპორტსმენის შრომა.

მსოფლიო სპორტის დონემ პირდაპირ თავბრუდამხვევ სიმაღლეს მიაღწია და ახლაც ყოველდღიურად იზრდება. მე, მაგალითად, თითქოს არც ისე დიდი ხანია, რაც 500 კგ დავლიე. თავის დროზე ეს დიდად ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ძალოსნობის ისტორიაში. ახლა შეიძლება დავასახელოთ ათეულები იმ სპორტსმენებისა, რომელთაც ასეთივე შედეგებს მიაღწიეს. სპორტი წინ მიდის.

მისი ზრდა მხოლოდ ციფრებისა და შედეგების უწყვეტ მატებაში როდი მდგომარეობს. ხელოვნებათმცოდნეობის ენით რომ ვთქვათ, იზრდება შესრულების ოსტატობაც, — სპორტი ხელოვნებაა. მაგრამ, რა თქმა უნდა, თავისებური სრულყოფილი ფიზიკური სილამაზე, სხეულის სილაღე და მისი დაუფლების უნარი საუკუნეთა მანძილზე თწვედა მღელვარებასა და აღფრთოვანებას.

ახლა მე უარი ვთქვი გამოსვლაზე. ეს გადაწყვეტილება მტკიცეა, მაგრამ სპორტისთვის იმდენი დრო შემიწირავს, რომ, მგონი, მაქვს უფლება მის შესახებ ვილაპარაკო. ეს განსაკუთრებული, ძალიან რთული საზოგადოებრივი ინსტიტუტია. იგი მუდამ როდი თავსდება ირიოვნების ჰარმონიული განვითარების შესახებ შექმნილ თეზისებში. სპორტს აქვს თავისი სასწავლებლები, თავისი გაზეთები, თავისი შინაგანი კავშირი. პრესას შეუქმნია სახელმწიფოს უწოდებენ. გარწმუნებთ, სპორტიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულ, თავისებურ ქვეყნად. თქვენ, რა თქმა უნდა, გეგმით, რომ ყოველივე ამას გადატანითი მნიშვნელობით ვამბობ.

განსაკუთრებით მკაცრია ამ ქვეყნის კანონები ოლიმპიური „ოლქების" მიმართ. სწორედ ოლიმპიური პროგრამით გათვალისწინებულ სპორტებში იგრძნობა ყველაზე მეტი ცოფი. ახლა არაოლიმპიურმა „პროვინციებმა" ჯერ კიდევ არ იციან რას ნიშნავს კონკურენცია. მათი არსებობა თითქმის: იდილიურია: ძირითადი საქმიანობა და სპორტით გატაცება. ეს ეხება, მაგალითად, ჩოგბურთს, წყალქვეშა ნადირობას... ამ სახეობებში ჯერჯერობით ყველა შეჯიბრება, ყველა ორთაბრძოლა მართლაც სულიერი სიამოვნებისთვის და არა მხოლოდ რეკორდებისთვის ტარდება. მაგრამ, ადრე თუ გვიან, აქაც შეიცვლება ყველაფერი. იცით თუ არა თქვენ, მაგალითად, რომ აშშ-ში ამჟამად იქმნება მუხიკოს ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი ხანგრძლივი დასურული ბანაკები? რომ ბევრ ქვეყანაში უკვე გაჩნდა იდეა შეიქმნას მოზარდებისთვის მათემატიკურის, ფიზიკურისა და სხვათა მსგავსი საგანგებო სკოლები?

● ეს ასეული, ვთქვათ, რამდენიმე ათასი კაცისთვის. მაგრამ უმრავლესობისთვის სპორტი ხომ დასვენებაა!

— ჩვეულებრივ სპორტსა და ფიზკულტურაზე ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ. აქამდე მხოლოდ „დიდი სპორტი" მქონდა მხედველობაში. იგი საზრდოობს სწორედ ჩვეულებრივი სპორტით. ართმევს მას ცოტად თუ ბევრად ნიჭიერ ადამიანებს და მათი ოსტატობა ბრწყინვალებამდე აჰყავს.

ეფიქრობ, დადგება დრო, როცა პირდაპირ განვაცხადებთ: სპორტი პროფესიაა, როგორც ბალეტი, როგორც ვოკალი, როგორც, და განსაკუთრებით, ცირკი. სიტყვამ მოიტანა და აქვე დავსძენ, — სუფთა ფიზიკური დატვირთვა (მაგალითად ვიღაც საკუთარ სახეობას. კინაღამ „ჟანრი" წამომცდა) ცირკის მსახიობს ბევრად ნაკლები აქვს, ვიდრე სპორტსმენს. სამწაგიროდ, მსახიობი — ეს პროფესიაა, ერთ-ერთი კანონიერი საქმიანობა, მოწოდება. ბოლოს, სავსებით უზრუნველყოფილი მომავალი. სპორტსმენი? სპორტსმენი კი ვინ არის? ჩვენში გვარწმუნებენ, რომ ეს არის კაცი „როგორც ყველა სხვა", აქვს გატაცება როგორც ყველა სხვას, მაგრამ გატაცებულია არა ვთქვათ ეთიკეტების შეგროვებითა და ხენდროს მოყვანით, არამედ შტანგით ან ველოსიპედით.

სინამდვილეში ყველაფერი მართლაც ასე საათივით აწყობილი როდია. ფორმის შესანარჩუნებლად მარათონული სირბილ დილით 20 კილომეტრს გარბის, საუზმობს, ერთ საათს ისვენებს და ისევ 20 კილომეტრს შეუტევს. ნასადილევს (ცხადია, დასვენების შემდეგ) ისევ ამდენსავე გარბის.

აბა, მითხარით, შეიძლება ჩაითვალოს იგი ისეთივე კაცად, „როგორც ყველა სხვა?" განა ჩვეულებრივია მისი ცხოვრება? ეს ტიტანური შრომა, გიგანტური დატვირთვა და, არც თუ იშვიათად, დიდი რისკიც არის.

● ამას წინათ ერთ ბროშურას წავაწყდი. უცნაური სათაური ჰქონდა: „გონების დაკარგვის მექანიკა აჭიშვის დროს" თუ რაღაც ამდაგვარი, ძალიან მხიარული სახელწოდებით.

— ყველაფერი ხდება. რინგზე, ფიცარნაგზე, ყინულზე მამაცი, ვაჟკაცი ხალხი გამოდის. სპორტი მოწოდებაა. მტკიცედ მწამს, რომ მხტომელის, მცურავის, ფეხბურთელის ტალანტზე ისევე თამამად და საფუძვლიანად შეიძლება ლაპარაკი, როგორც პიანისტის ან კინომსახიობის ნიჭზე.

● თქვენი ერთი მოთხრობა სწორედ ასე მთავრდება: „მე... თითქოს შტანგისთვის ვიყავი დაბადებული".

— ბიჭები საოცრად ერთგული არიან თავისი არც ისე იოლი ბედისა. მათი ცხოვრება მძაფრი, მიმზიდველი, ხანდახან დრამატული სიუჟეტებით არის აღსავსე. ზოგი გონებაშეზღუდული კი, თავს რომ სერიოზულად თვლის ინტელექტუალურ ადამიანად, სპორტული მოწოდების შესახებ ანეგდოტების წერით ერთობა. დიახ, შეიძლება ეს მთლად საფუძველსმოკლებულიც არ იყოს. სპორტსმენებს ახასიათებთ თავისებური შეზღუდულობა. ამის მიზეზია, პირველ ყოვლისა, არაჩვეულებრივი რეჟიმი და დატვირთვა, მეორე ის, რომ სპორტსმენები, ცოტად თუ ბევრად საკუთარ წრეში არიან ჩაკეტილი, მესამე... ზოგი მართლაც ამაყობს ფიზიკური უპირატესობით. ეს დიდი ნაკლია, რომელსაც ებრძვიან. მაგრამ რით ჯობს ამ ცოდვას „ინტელექტუალური კუდაბზიკობა?"

ხალხი სპორტს ამიტომ ეწაფება, რომ ძალისა და მოქნილობის გამოვლენის შესაძლებლობა იზიდავს, უნდა უფრო ლამაზი, უფრო შაშაი გახდეს — მე ჩვენ, საბჭოთა ხალხზე ვლაპარაკობ. ჟფიქრობ, პატივმოყვარულობასა და დიდების წყურვილს მეტისმეტად მცირე ადგილი უჭირავს ყველა სხვა სტიმულს შორის. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა უცერად მეტროში გიცნობენ, საზღვარგარეთ კი დიდის ამბით მოგმართავენ: „სერ!", მაგრამ ეს სულაც არ კმარა ანეგდოტების შესაქმნელად. კაპიტალისტურ სამყაროში სპორტი მენაჯერებისთვის ბიზნესია, სპორტსმენებისთვის კი ლატარია, სადაც მათ შეუძლიათ საარაკო მოგება ნახონ.

ასეა თუ ისე, სპორტში ათასობით კაცია ჩაბმული, მისი იდეები ყველგან იკვლევს გზას. გულშემატკივართა არმია ეს ადამიანების რაღაც უაზრო ჯგუფები როდია, ეს გახლავთ გაერთიანება, რომელიც შესწავლას და ანგარიშის გაწევას მოითხოვს.

● და მაინც, ნება მომეცით გითხრათ, ბევრი, ძალიან ბევრი შორს დგას ყოველივე ამისგან. ისინი ვერც კი შენიშნავენ ერთ მშვენიერ დღეს მთელი დიდი და მცირე სპორტი ერთად რომ გაქრეს.

— ზოგი ვერც იმას შენიშნავს, მთელი ლიტერატურა რომ ერთ დღეს გაქრეს. მე ასეთ ხალხსაც ვიცნობ. ეგ საბუთი არ გახლავთ. სპორტი უნდა დავაფასოთ. დაწვრეთ, თუ შეიძლება, რომ ამ საქმეში სოციოლოგიური კვლევა აუცილებელია. ჩვენში კი საამისოდ არაფერი კეთდება. რას ფიქრობს ადამიანი სპორტზე, როგორ არის განწყობილი მისადმი, რა ადგილი უჭირავს სპორტს მის და მისი ბავშვის ცხოვრებაში, როგორია საზოგადოებრივი შეხედულება სპორტზე? — ათასნაირი კითხვა შეიძლება წამოიჭრას.

ძალა და სილამაზე გვიზიდავს, გვრტაცებს. როცა მომავლის ადამიანის აღზრდაზე ვფიქრობთ, ამით უნდა ვისარგებლოთ. საზოგადოებისთვის სულერთი როდია, ვის შესთავაზებს კერძად მომავალ თაობას და ვის აირჩევს კერპად თავად ეს თაობა. დასავლეთი სპორტს იყენებს როგორც ნიადაგს უნაში ძალის კულტისთვის, მუშტის კულტისთვის. შემთხვევითი როდია, რომ დიდ ასპარეზობებში ატმოსფერო ხშირად არც თუ სპორტული „ბრაზით" არის გაჟღენთილი, რომ ჭარბობს არც თუ ჯანსაღი აზარტი. აბა, როგორ გიხდა ამასთან დაკავშირებით არ გაიხსენო, რომ ძველად, ვთქვათ, ოლიმპიურ თამაშებში, სპორტულ შეჯიბრებებთან ერთად ხელოვნებასაც ეთმობოდა ასპარეზი. აი, ამ მშვენიერი ტრადიციის დაბრუნება გააკეთილშობილებდა სპორტულ სანახაობებს, ოლიმპიადებს ჭეშმარიტ ზეიმად და მსოფლიო კულტურის დათვალიერებად გადააქცევდა.

აღმზრდელობით მუშაობაში უთუოდ უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდობის ლტოლვა სპორტისკენ. ძლიერი ადამიანით აღტაცება ფორმაა, რომელიც ჩვენთვის საჭირო შინაარსით უნდა შევავსოთ.

შოზარდები, განსაკუთრებით, ბიჭები, მეტისმეტად მგრძნობიერნი არიან ყოველივე იმისადმი, რაც ადამიანის არსებობის გარეგნულ მხარეს შეადგენს. ჩვენ შეგვიძლია დაუსრულებლად ვილაპარაკოთ, რომ ეს მოუმზადებელი და ზერელე შეხედულებაა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. მე მრავალი წლის მანძილზე მწერს წერილებს ერთ-ერთი სკოლის ფიზიკის მასწავლებელი. იგი, რბილად რომ ვთქვათ, გოლიათი როდია. ბევრი მეცხრეკლასელიც კი მასზე მაღალი და ლონიერია. მასწავლებელმა მტკიცედ გადაწყვიტა თავისი ფიზიკური ბუნების „გადაკეთება". „ეს ჩემთვის აუცილებელია, — მწერს იგი. — შეიძლება ათიოდე წლის შემდეგ ჩემმა მოსწავლეებმა კეთილი სიტყვით მომიგონონ, შეიძლება შეიგნონ, რომ ადამიანში, პირველ ყოვლისა, გონიერებას, სიკეთესა და სამართლიანობის გრძნობას უნდა აფასებდე, მაგრამ მე ცდა არ შემიძლია! მე ხომ დღეს ვასწავლი მათ, დღეს უნდა მოვიპოვო მათი პატივისცემა და აღიარება. პარადოქსია: იმისთვის, რომ ბავშვებმა ფიზიკა ისწავლონ, ფიზკულტურას უნდა მოვეიდო ხელი!"

სამწუხაროდ, მასწავლებელთა წრეში სხვა შეხედულებაც არსებობს. ამ შეხედულების მიხედვით, ფიზკულტურის მასწავლებელი დაბალ კატეგორიას ეკუთვნის. იგი რაღაც გარეშეობათა წყალობით მოხვდა ინტელიგენტურ წრეში და იძულებული არიან აიტანონ. მორჩა და გათავდა. ასევე უყურებენ ფიზკულტურის გაკვეთილებსაც. ერთი საათი კვირაში — განა საკმაოდ არ არის?!

„ერის სიჯანსაღეს" სკოლაში ეფერება საძირკველი. მთელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ზარსა და გაკვეთილებში იზრდება. ჩვენი ბიჭები და გოგონები მთელი ათი წელი სწავლობენ.

გონიერი და ენერგიული მიდგომით ამ ათ წელიწადში შეიძლება ბავშვის სხეულის გამოწრთობა. სწორად წარმართულ ფიზიკურ ზემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა ორგანიზმისთვის. ეს ნიმნაუს მაგარ კუნთებსაც, მტკიცე ფსიქიკასაც. სიცოცხლისუნარიანობას და ხალისსაც...

როგორ ცდებიან მშობლები და მასწავლებლები, როცა ქედმაღლურად, აგდებულად ეკიდებიან იმასაც კი, რაც დღეს ფიზკულტურის გაკვეთილს შეუძლია მოსწავლეს მისცეს. მოყვარული დედები ხშირად ათასგვარ ხრიკს მიმართავენ, რათა ბავშვი ფიზკულტურისგან „დაისნენ". ვერ ხედებიან, რომ ამით დიდ ზიანს აყენებენ მას. „სპორტი? — ღელავს დედა, — ჰო, მაგრამ, შვილო, შენ ხომ ინტელიგენტური ოჯახიდან ხარ?" — მას მიაჩნია, რომ სპორტი რაღაც მოარული სენია, რაც მისი პირმშოს სულიერ და გონებრივ ზრდას უშლის ხელს.

აი, ასეთი ცრუ შეხედულებები სათავეშივე უნდა მოვსპოთ. გავაგებინოთ ხალხს: გინდათ თუ არა, რომ თქვენი შვილები ჯანმრთელი იყვნენ? გინდათ თუ არა, რომ ისინი ცხოვრებაში შევიდნენ, როგორც თავის თავში დაჯერებული, სრულფასოვანი ადამიანები? და, ბოლოს, გიყვართ თუ არა თქვენ სილამაზე? ხომ არსებობს საყოველთაოდ ცნობილი ცნებები: „ლამაზი ქალაქი", „ლამაზი ავეჯი". ჩვენ გვინდა, რომ ყველაფერი ლამაზი გვქონდეს, კოსტუმის შერჩევისას პირდაპირ ვიტანჯებით, მაგრამ, რაც მთავარია — საკუთარ სხეულს უგულისყუროდ ვეკ-ცევით: არ დავეძებთ, ლამაზია თუ არა იგი — წელში გამართული, მოხდენილი, მოქნილი. არ ვებრძვით ადრეულ გატეხას, ნოჭებს, სმსუქნეს.

● ახლა თვით ცხოვრების პირობებია ასეთი. მუშაობს დროს ბევრს დიდხანს ჯდომა უწევს, შინ — კომუნალური ბინა...

— მით უმეტეს აუცილებელია მუდამ ფორმაში ყოფნა. მე რეკომენდაციებზე არ შევჩერდები. არსებობს ლიტერატურა, რომელსაც ყველა მუურველი შეიძლება გაეცნოს. ერთს კი ვიტყვი: ყველაფერი თავად ჩვენზეა დამოკიდებული. ამ საქმეში სხვა ვერაფინ დაგვეხმარება. სტადიონზე მიხვალ — არ შეგიშვებენ, სექციაში ჩაწერას მოინდომებ — უარს გეტყვიან, ვინაიდან სულიერი სიამოვნებისთვის, საკუთარი სიამოვნებისთვის, ჯანმრთელობისთვის შეცადინეობას ჩვენში ჯერ კიდევ არ ექცევა ყურადღება ისე, როგორც, მაგალითად, „დიდ სპორტს".

კარგი, დიდები, ვთქვათ, ასე თუ ისე, მიხედავენ თავს. ნებისყოფა აქვთ, იციან რა სურთ და უმწვრთნელებიდაც იოლას გავლენ. ბავშვებმა რაღა ქნან? უბედურება ის არის, რომ ზუსტად იგივე მეორდება ბავშვების მიმართაც. გამხდარ, პატარა, სუსტ ბავშვს სექციაში არ მიიღებენ, მას კი ყველაზე მეტად სჭირდება სპორტი. გამოსავალი ისევ სკოლაა. მთელი იმედები მასზეა დამყარებული. ამიტომ სასკოლო ფიზკულტურულ აღზრდაში ძალიან ბევრი რამ უნდა შეიცვალოს — მატერიალური ბაზიდან, ვიდრე კადრებამდე. მაგრამ ეს განსაკუთრებული საკითხია.

● მაშ ასე, იური პეტროვიჩ, შევაჯამოთ ჩვენი საუბარი...

— „დიდი სპორტი" პროფესიაა, უმაღლესი პროფესია. ადრე თუ გვიან, იგი გამოეყოფა ჩვეულებრივ სპორტს და ფიზკულტურას ისევე, როგორც ვთქვათ, პროფესიული ხელოვნება სხვაა და თვითშემოქმედება — სხვა. ჰო, მართლა, მე ვთქვი, რომ ოდესმე სპორტულ ღონისძიებებს, სანასაობის მსგავსად, დაგეგმავს და ჩაატარებს საგანგებო, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაცია. სპორტი თავად დაფარავს თავის ხარჯებს. სპორტსმენი, რომელმაც თავისი ცხოვრების გზა მოწოდებით, ტალანტის მიხედვით აირჩია, ერთ ხანს გამოვა მსოფლიო სარბიელზე, შემდეგ კი, თუ პედაგოგიური მოღვაწეობის უნარი აქვს, მწვრთნელად დაიწყებს მუშაობას. თუ არა და „დიდი სპორტის თეატრის" მსახიობი გახდება. მე მიმაჩნია, რომ ასეთი თეატრი აუცილებელია. ამის შესახებ დავწერე კიდეც.

ჩვეულებრივი სპორტი კი, რომელიც ალარ იქნება იძულებული დიდ სპორტს „მოემსახუროს", უფრო დაწყნარდება, უფრო მასობრივი გახდება. დარწმუნებული ვარ, იგი საზოგადოებრიობისა და ხახელმწიფოს მეტ ყურადღებასაც მიიქცევს. ბოლოს და ბოლოს, სპორტის დანიშნულება ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებაა, არა ერთი და ორი ადამიანისა, არამედ კაცობრიობის ჯანმრთელობის! გაკაცება.

ი. ვლასოვს ესაუბრა ბ. უჟოვა.

(გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა", № 66 (2026).

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაში წარმატებით გამოვიდა თბილისელი ტანმოვარჯიშე რ. ჯინჭარაძე (მწვრთნელი ნ. მახვილაძე), რომელმაც ამსოლუტური პირველობისთვის ბრძოლაში გამოიჩინა თავი და II საპრიზო ადგილი დაიკავა.

აი, ასეთი ეფექტური ნახტომით დაამთავრა სპორტის ოსტატმა რ. ჯინჭარაძემ დვირზე ვარჯიში.

ფოტო ი. იუნაევისა.

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ველოსპორტში** — ლ. ჭავჭავაძეს (ბათუმის „დინამო"); **ჩოგბურთში** — ნ. ხალარაძეს (გარდაბნის „კოლმეურნე"); **სათხილამურო სპორტში** — გ. თვაურს (ბაკურიანის „კოლმეურნე"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ტ. ტაბუევს (თბილისის „დინამო").

* * *

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ძალოსნობაში** — ა. ტატიშვილს (თბილისი); **საცხენოსნო სპორტში** — გ. გრანდილევსკის (თბილისი); **მხატვრულ ტანვარჯიშში** — თ. ზურაბიშვილს (თბილისი); **მძლეოსნობაში** — ნ. ტეშინას (თბილისი); **ხახანძრო-გამოყენებით სპორტში** — ა. აგამირზოვს (თბილისი); **წყალბურთში** — პ. კაზანოვსკის (ბათუმი).

სიგელი დაიმსახურა

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისთვის სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიურომ სიგელითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვა სპარტაკიადის მსაჯი **ს. კოზანაშვილი** (ბაკურიანი).

● **მოსკოვი, 10 ივნისი.** დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის მოფარიკავეთა ჩემპიონატი. ოქროს ბოლო მედალი მოიპოვეს საბჭოთა არმიის რაპირისტებმა, რომლებმაც გუნდური პირველობა დაისაკუთრეს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მოსკოველმა გ. გოროხოვამ შეინარჩუნა ჩემპიონობა. საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ არმიელი სპორტსმენები.

ჯგუფი ჯგუფში

● **ტოკიო, 10 ივნისი.** სტუდენტთა მსოფლიო თამაშების გახსნამდე ერთ წელზე მეტი დარჩა, მაგრამ უნივერსიადის ორგანიზატორებმა უკვე გამოაცხადეს შეჯიბრების პროგრამა სპორტის 9 სახეობაში. ისინი გაიმართება 1967 წლის 26 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე ტოკიოს სტადიონში, სადაც 1964 წლის ოლიმპიადა მიმდინარეობდა.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„ა" ჯგუფი

I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

დუგლიერთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 12 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	10	7	2	1	26—11	16
„არარატი" (ერევანი)	11	5	5	1	21—12	15
ასკ (როსტოვი)	10	4	5	1	8—4	13
„კაირატი" (ალმა-ათა)	11	5	3	3	14—13	13
„დინამო" (მინსკი)	11	5	3	3	13—12	13
„დინამო" (თბილისი)	10	5	2	3	13—11	12
ცსკა	10	4	4	2	9—7	12
„დინამო" (მოსკოვი)	11	3	6	2	9—9	12
„ტორპედო" (ქუთაისი)	11	5	1	5	11—11	11
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	10	4	3	3	9—9	11
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	10	2	6	2	10—7	10
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	11	4	1	6	12—12	9
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	10	1	6	3	9—10	8
„ტორპედო" (მოსკოვი)	10	2	4	4	6—8	8
„შახტიორი" (დონეცკი)	10	1	6	3	6—8	8
„ზენიტი" (ლენინგრადი)	11	3	2	6	10—17	8
„სპარტაკი" (მოსკოვი)	11	3	2	6	11—19	8
„პრ. სოვეტოვი" (ყუბიშევი)	10	3	1	6	9—18	7
ასკ (ოდესა)	10	0	4	6	5—13	4

საბჭოთა ვიკვალობა

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 10 ივნისისათვის

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გარეჯი" (საგარეჯო)	6	5	1	0	13—3	11
„დურუჯი" (ყვარელი)	8	4	2	2	15—8	10
„მეტალურგი" (რუსთავი)	8	3	3	2	17—11	9
„ნადიკვარი" (თელავი)	7	4	1	2	8—7	9
„კოლმეურნე" (მარნეული)	7	2	4	1	10—9	8
„სამცხე" (აწყური)	8	2	4	2	7—8	8
„არაგვი" (მცხეთა)	7	2	3	2	9—14	7
„ბახტრიონი" (ახმეტა)	7	2	3	2	8—10	7
„შირაქი" (წითელწყარო)	6	1	4	1	14—8	6
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	7	2	2	3	4—6	6
„თრიალეთი" (წალკა)	7	1	4	2	2—5	6
„არაგვი" (დუშეთი)	8	2	1	5	9—15	5
მუკუზნის სბმ. მეურნეობა	6	0	1	5	3—15	1

II ზონა

„ზემო ქართლი" (ხაშური)	8	4	3	1	25—10	11
„ლაითური" (მახარაძე)	6	4	2	0	8—2	10
„სამგურალი" (წყალტუბო)	7	4	2	1	9—6	10
„სულორი" (ვანი)	6	2	4	0	7—5	8
„ცისარტყელა" (თბილისი)	7	4	0	3	8—9	8
„აერო" (გალი)	6	2	3	1	11—5	7
„კოლხიდა" (ხობი)	7	2	2	3	8—8	6
„სალხინო" (გეგეჭკორი)	6	2	2	2	5—6	6
„საირმე" (მაიაკოვსკი)	6	1	2	3	7—11	4
„მშენებელი" (ჭიათურა)	7	2	0	5	9—15	4
„კოლხიდმშენი" (ფოთი)	7	1	2	4	8—16	4
„ჭიხურა" (საჩხერე)	7	0	2	5	5—18	2

დე გოლი გრენობლში



როგორც იუპი-ს სააგენტოს კორესპონდენტი თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქიდან იუწყება, საფრანგეთის პრეზიდენტი, გენერალი შარლ დე გოლი გრენობლის ქალაქის მერს ი. დიუბედუს მოუწოდებს „ყველაფერი იღონოს, რათა ზამთრის ოლიმპიური თამაშები დიდ ეროვნულ მოვლენად იქცეს".

სამთო კურორტის რაიონში დე გოლი იმყოფებოდა საფრანგეთის არმიის მანევრებთან დაკავშირებით. იგი მერს ოლიმპიურ ნაგებობათა მშენებლობის საკითხებზე ესაუბრა. დე გოლმა პირობა მისცა დიუბედუს, რომ მთავრობა მთლიანად დაუჭერს მხარს მას და დაპირდა პირადად დაესწროს თამაშებს.

საუბარში მონაწილეობდა პრემიერ-მინისტრი ჟორჟ პომპიდუ.

სპორტი ეკონომიკაში

იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალი ოლიმპიური თამაშები მექსიკაში 2240 მეტრის სიმაღლეზე უნდა გაიმართოს, ექიმები ახლა დაინტერესებული არიან გამოკვლევებით იმის თაობაზე, თუ როგორ იმოქმედებს სპორტსმენთა ჯანმრთელობაზე გაიშვიათებული ჰაერი და ჟანგბადის ნაკლებობა. სწორედ ამიტომაა, რომ მედიცინის მუშაკები და სპორტსმენები ჩადიან მექსიკაში, სადაც საკონტროლო ვარჯიშებს ატარებენ.

გამოკვლევის საინტერესო მეთოდი გამოიყენეს ინგლისელმა ექიმებმა: დიდი ბრიტანეთის სპორტსმენები მექსიკაში ვარჯიშობდნენ სხეულზე დამაგრებული მბრწყინავი ნათურებითა და აკუმულატორით ხელში. სიბნელეში სპეციალურმა გადაღებამ საშუალება მისცა დაედგინათ რბენის რიტმი და მისი ცვლილებები მორბენლის მიერ დისტანციის გავლისას.

სურათზე, რომელიც ამოღებულია დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შტერნიდან", გამოსახულია ცნობილი ინგლისელი მძლეოსანი ბრაიტ გრეჰემი.

მრისხანე მარია

მეოთხე წელია ზედიზედ

ლონდონი, 11 ივნისი. კენტის საგრაფოს ღია ჩემპიონატში ბრაზილელი ჩოგბურთელი მარია ბუენო პირდაპირ რისხვად მოევლინა საბჭოთა სპორტსმენებს. ჩვენებმა უხეიროდ როდი დაიწყეს ეს ტურნირი, რომელმაც ბევრი სახელგანთქმული გარსკვლავი მიიზიდა. მეოთხედფინალამდე მიაღწია 17 წლის მოსკოველმა ო. მოროზოვამ. და აი, აქ იგი ბუენოსთან დამარცხდა.

კიეველმა გ. ბაკშეევამ წარმატებით იასპარეზა მეოთხედფინალში— მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს ჯ. ტეგარტს (ავსტრალია) მოუგო. ნახევარფინალში კიეველის მეტოქედ ბუენო დადგა. შედეგი ისეთივეა: საბჭოთა სპორტსმენმა წააგო — 6:8, 5:7.

ფინალში მ. ბუენო შეხვდება ახალგაზრდა ავსტრალიელს კ. კრანჩკეს.

მოსკოველმა მოსწავლემ ვ. კოროტკოვმა მეორე წელია ზედიზედ გაიმარჯვა იუნიორთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში. ფინალში მან იოლად სძლია ვარბოუსს (ინგლისი) — 6:1, 6:1.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **მილანი.** პოპულარულ მეკარე სარტის იტალიის ჩემპიონატებში 300 მატჩი აქვს ჩატარებული. აქედან 220 მან ითამაშა „ფიორენტინაში", დანარჩენი კი — „ინტერნაციონალეში", სადაც ახლა თამაშობს.

● **ბუდაპეშტი.** აქ გამოცხადდა, რომ თამაშს თავი დაანება ცნობილმა უნგრელმა ფეხბურთელმა ფერენც სოიკამ, რომელიც თავის დროზე ლეგენდარული დიდი გუნდის ნახევარმცველი იყო. იგი 17 წლის განმავლობაში თამაშობდა „შალგოტარიანში".

● **ამსტერდამი.** ცნობილი იუგოსლავიელი მეკარე ბეარა, რომელმაც გფრ-ში სახელი გაითქვა როგორც მწვრთნელმა, მიწვეულია ჰოლანდიის ერთ-ერთი მოწინავე კლუბის „აიაქსის" ხელმძღვანელად.

● **ბელგრადი.** კიდევ ერთი ცნობილი ოსტატი სტოკებს იუგოსლავიას: „ცრვენა ზვეზდას" თავდასხმის ლიდერი შეკულარაკი ამიერიდან გფრ-ის კლუბ „კარლსრუეში" გამოვა.

● **ციურიხი.** შვეიცარიის ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატში ჩატარებულ თვითეულ მატჩში გუნდის წევრები მიიღებენ შემდეგ გასამრჯელოს: მოგება — 800 შვეიცარიული ფრანკი, ფრე — 450 ფრანკი, წაგება — 150 ფრანკი.

● **ლონდონი.** ბურთების დამამზადებელმა ფირმამ, რომლის ნაწარმითაც ითამაშებენ მსოფლიო პირველობაზე, უკვე შეასრულა მთელი რიგი ქვეყნების დაკვეთა და გაგზავნა: სსრ კავშირში 250 ბურთი, ბრაზილიაში — 100, იტალიაში, მექსიკაში, არგენტინაში, ჩილიში, ესპანეთში, საფრანგეთსა და ურუგვაიში — 30-30.

● **ბუდაპეშტი.** უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს მიერ მოწყობილი კონკურსი „როგორ განაწილდება ადგილები მსოფლიო ჩემპიონატში?", დამთავრდა ისეთი შედეგებით: 1. ბრაზილია, 2. ინგლისი, 3. უნგრეთი, 4. სსრ კავშირი, 5. იტალია, 6. გფრ, 7. ურუგვაი, 8. ესპანეთი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

როგორც ცნობილია, დამთავრდა „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი სპეციალიზებული ჯგუფების წინასწარი ტურნირები ორ ქვეჯგუფში. ახლა იწყება ამ რესპუბლიკური ღონისძიების გადამწყვეტი ეტაპი.

დღეს შედგება ფინალური გათამაშების პირველი მატჩები თბილისს „ლოკომოტივის" (ყოფილი „ბურევესტნიკის") სტადიონზე ვაკეში. დილის 9 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „დილა" (გორი). 17 საათსა და 30 წუთზე თამაშობენ „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი), ხოლო 19 საათზე — „ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (სოხუმი).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-3, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო—3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ევროპის ჩემპიონი „დიდგ"-ს

ორ ჩამოუვარდებიან

ლიდეროგენ „გარეჯი" და „ზემო ქართლი"

შარშანდელ ჩემპიონთაგან — მხოლოდ ერთი...



ამერიკის საფეხბურთო ლიგის წარმომადგენელი ჯეკ ვესტი შავ დღეში ჩავარდა. მან ძლივს დააღწია თავი მოთამაშეთა ხროვას და შველას ითხოვს... საქმე ის არის, რომ ვესტმა ვერ შეამჩნია, როგორ ამოიწურა ტაიმ-აუტის დრო და ამერიკული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი შეტაკების შუაგულში მოექცა. ეს შეტაკება ვესტისთვის სასიამოვნო რომ არ იყო, კარგად ჩანს სურათზე.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. /11 უე 04983